საქართველოს
ადვოკატთა ასოციაცია
06 JUL 2020
20919 #5

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
DIRECTOR GENERAL OF THE SPECIAL PENITENTIARY SERVICE

KA010196342187820

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№159346/01

02 / ივლისი / 2020 წ.

✓ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას

როგორც თქვენთვის ცნობილია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში – სამსახური) პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლისას პირად არასრულ შემოწმებას ექვემდებარება დაწესებულებაში შემსვლელი/დაწესებულებიდან გამომსვლელი პირი, ასევე, სამსახურის მოსამსახურე. დაწესებულებაში შემსვლელი/დაწესებულებიდან გამომსვლელი პირების პირადი არასრული შემოწმება ხორციელდება შემოწმების ზონაში.

პენიტენციურ დაწესებულებაში შემსვლელ პირთა შემოწმება ემსახურება ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიც არის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებისა და ნივთიერებების მოხვედრა და დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა.

თუმცა, შემოწმების პროცედურების განხორციელება მოითხოვს შესაბამის დროს და იწვევს გარკვეულ დისკომფორტს.

კერძოდ, პირადი არასრული შემოწმება გულისხმობს პენიტენციურ დაწესებულებაში შემსვლელი/

ფეხების მიმართულებით, ხელების თანმიმდევრული მოძრაობით, ტანსაცმლის წინა და უკანა მხარეების გულდასმით შემოწმებით, რაც მოიცავს:

ზედა ტანსაცმელს (ზურგი, საყელო, ზედა ტანსაცმლის გადანაკეცები, მხრები, ჯიბეები, მკლავები, ყელსახვევი, ჰალსტუხი, კაშნე, პერანგი, პულოვერი და ა.შ.);

ქვედა ტანსაცმელს (შარვალი, კაბა; შარვლის, ქვედაბოლოს სათავის ან სხვა ტანსაცმლის წელის გარშემოწერილობის გარე და შიდა მხარე; ქამარი, ჯიბეები; შარვლის, კაბის გადანაკეცები).

აღნიშნული პროცედურის გამარტივებისა და სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლის/გამოსვლის რიგის მართვის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო თვეებში, სამსახურმა უზრუნველყო პენიტენციური დაწესებულებების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტებისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხო რენტგენის აპარატების/სკანერების განთავსება, რომელთა განთავსება-გამოყენება მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ უფროსის 2019 წლის 20 აგვისტოს № ი-222 ბრძანებით სამსახურს მიეცა ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების გენერატორის ან/და რადიოაქტიური მასალების მომსახურების მიწოდების მიზნით გამოყენების თაობაზე, ხოლო 2019 წლის 20 სექტემბრის № ი-260 ბრძანების თანახმად, სამსახური უფლებამოსილია, განახორციელოს მაიონებელი წყაროების საექსპერტო-ინსტრუმენტული გაზომვები, მეტროლოგია, იუსტირება და მონტაჟი. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სამსახურს მინიჭებული აქვს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ შესაბამისი ლიცენზიები (N71/2019 და N79/2019).

ამასთან, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული რენტგენის აპარატების/სკანერის მონიტორინგი. შემოწმება ხორციელდება X-Ray დანადგარების მონაცემებისა და ტექნიკური პარამეტრების თვითტესტირებით. თითოეულ რენტგენის დანადგარს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის № 689 დადგენილების – „მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესის, მაიონებელი გამოსხივების წყაროების კატეგორიზაციის დამტკიცების შესახებ“ – მოთხოვნათა შესაბამისად, მინიჭებული აქვს მარეგულირებელი ნომრები, რომლებითაც ისინი მარკირებულია. ამ ნომრებით მიღებული და სამსახურიდან მიწოდებული ინფორმაცია რენტგენის დანადგარების შესახებ შეიტანება სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ უწყებრივ რეესტრში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, წინასწარ გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 6 ივლისიდან, სამსახურის №2, №3, №5, №6, №7, №8 და №15 პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისას/დაწესებულებიდან გამოსვლისას, ნებისმიერ პირს მიეცემა არჩევანი, სავალდებულო შემოწმება გაიაროს რენტგენის აპარატების/სკანერის მეშვეობით, მხოლოდ რამდენიმე წამში და ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე.

უახლოეს მომავალში სამსახური „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ 2019 წლის 20 სექტემბრის № ი-260 ბრძანებისა და შესაბამისი ლიცენზიების საფუძველზე მოახდენს სხვა პენიტენციური დაწესებულებების აღჭურვას, ანალოგიური, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხო რენტგენის აპარატებით/სკანერებით.

აევე დაძატებით გაცნობებთ, რომ შემოწმების ტექნიკური მოწყობილობის მეშვეობით გავლაზე უარის შემთხვევაში, დაწესებულებაში შემსვლელი/გამომსვლელი პირის შემოწმება მოხდება სამსახურის უფლებამოსილი, იმავე სქესის მოსამსახურის მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების სრული დაცვით.

სავალდებულო შემოწმება (როგორც ტექნიკური მოწყობილობის მეშვეობით, ისე სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ), ცხადია, არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელთა პირადი ჩხრეკა ან სხვაგვარი შემოწმება, კანონის თანახმად, მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით არის დასაშვები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალური დირექტორი

გიორგი პატარიძე